„პრუსია ყოველის ღონისძიებით ცდილობს, რომ არ გააჯავროს ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა, და ყოველს უმთავრეს საქმეში, რომელიც კი ევროპას შეეხება, ჩვენთან ერთად მოქმედებს. რადგანაც რუსეთსა სურს მშვიდობიანობა დაიცვას, ამისთვის აღმოსავლეთის საქმეში არც იძას უნდა, რომ ჩვენთან გაცალკევდეს. ავსტრიაც აგრეთვე ჩვენი თანახმაა. ევროპის სწორ-შეწონილებისთვის მიუცილებლად საჭიროა, რომ ავსტრია დარჩეს უმთავრეს სახელმწიფოთ. ამ ცოტახანში ჩვენი სახელმწიფო შეეკრა ავსტრიას სავაჭრო ტრაქტატითა; ამითი კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი ამ ორ სახელმწიფოს შორის. ისპანია და იტალია ჩვენთან წმინდის გულით არიან. ამისგამო არა ფერი ამ ჟამათ არ შეგვაწუხებს და მეც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. აწინდელზედ დარწმუნებული ვარ, მომავალს გულდანდობით შეეყურებ და ამისგამო ეს ჟამი რომ ჩვენი შინდაწყობილების გასაუმჯობესებლად მოვიხმაროთ, ძალიან კარგი იქნება. ეს თუთხმეტი წელი მშვიდობიანათ და კეთილ-მდგომარეობაში გავიდა. ამაში სახელმწიფო უნდა უმადლოდეს ჩვენს საერთო ღვაწლს და თქვენს თავგაწირულებას საიმპერიო დაწესებულებებისთვის. ახლა მე ვგრძნობ, რომ იმ დრომაც მოაწია, როცა უნდა დამყარდეს ლიბერალურნი ცვლილებანი, რომელნიცა სურდათ მოეხდინათ სენატსა და სჯულის-დამდებს კორპუსსა. ვასრულებ თქვენს იმედს და კონსტიტუციის თანახმად გაძლევთ ახალს სჯულს, რომელიცა განავრცელებს საზოგადო თავისუფლებას. ხალხი, რომელიც ჯეროვანათ მადლიერია ჩემს მეცადინეობაზედ, გონივრად მოიხმარს ჩვენგან მიცემულს სიმართლეს. მოსვენებით ცხოვრება და კეთილმდგომარეობა ხალხს დიდათ მიაჩნია და ამის გამო მე დარწმუნებული ვარ, რომ სხვა და სხვა პარტიებისაგან ჩაგონებულს აზრს ის არ გაჰყვება. უფალნო! უმთავრესი ნაწილი თქვენგანი ყოველთვის ჩემი შემწე იყო ხალხის გამგეობაში, რომელიც არის ძალიან ძნელი საქმე; როგორც აქამომდე, აწც აგრეთვე ჩემთან ერთად იქნებით საიმედო მცველნი ხალხის ინტერესისა და იზრუნებთ ამ ქვეყნის დიდებისათვის. ბარეთ ფრანცია პატივცემულია; თავისი სიმამაცე არმიამ დაამტკიცა, მაგრამ, რადგანაც ომის პირობანიც შეიცვალნენ, ამისთვის ჩვენც უნდა მოგვემატებინა ჩვენი საცავი სამხედრო ძალა, რომ დავრჩეთ შეუსჭვალავნი. დავრჩები სრულად გულ-დანდობილი ხალხის კეთილგონიერებაზედ და იმათს პატრიოტულს გრძნობაზედ; ძლიერი ხალხისაგან მონიჭებული უფლებითა, ძლიერი ჩემი სვინიდისითა, მე მსურველი მხოლოდ კეთილისა, მოგიწვევთ ყველას, რომ მაგრად დავადგეთ განათლების გზასა“.

ოსმალეთი. ალი-ფაშამ 30 იანვარს გაუგზავნა ოსმალეთის ელჩს მუსურმან-ბეის ლონდონში, ფირმანის პირი, რომელიც სულთანმა ქანდიას გაგზავნა თავის კომმისართან; ამ ფირმანის პირში არის ნაჩვენები, თუ რა ზომაები უნდა იხმაროს ოსმალეთის მმართებლობამ სიმშვიდის და წესის დასადგენათ ქანდიაზედ.

აი იმ ფირმანისაგან გარდაღებული პირის ნაწილი: „უსარგებლო იქნება, რომ შენ გელაპარაკო იმაზე, თუ როგორ მძიმეთ შეწუხებული ვართ ქანდიის კუნძულზე აღრეულობისაგამო, რომელიც მოხდა.„ “ჩვენ დავაწესეთ ჩვენს სატახტო ქალაქში კომმისია იმ განზრახვით, რომ მოვიფიქროთ, თუ როგორი წესდება უნდა მიეცეს ადმინისტრაციას კუნძულზე ახალი გუბერნატორის გაგზავნის შემდეგ; ეს გუბერნატორი დაუყოვნებლად გაიგზავნება კუნძულზე, როგორც კი საქმეები ნორმალურ მდგომარეობაში მოვა კუნძულზე. აგრეთვე კომმისიამ უნდა აღმოაჩინოს იმისთანა საშუალობანი, რომელიც შეეძლოსთ განკურნა აღრეულობისაგან კუნძულზე მომხდარი უბედურებაებისა; იმან უნდა გააუკეთესოს ადმინისტრაციის წესი კუნძულზედ მცხოვრების ხალხისა როგორც კანონიერი იმათი სურვილი ამას მოითხოვს ეგრეთვე ის უნდა შეეწიოს მიწის მუშაობის და ვაჭრობის წარმატებას, ქრიტის მცხოვრებლების კეთილ-დღეობის გასამტკიცებლად. ერთი სიტყვით, კომმისიამ უნდა აღმოაჩინოს იმისთანა საშუალებანი, რომლებსაც შეეძლოთ გააუმჯობესონ ქანდიის მდგომარეობა.

„ჩვენ საჭიროდ დავინახეთ, რომ დავეკითხოთ გამოჩენილს კუნძულის მცხოვრებლებს იმაზედ, თუ რა საშუალებანი უნდა ვიხმაროთ ქანდიის კეთილ-დღეობისათვის და ან როგორ უკეთესად წავმართოთ ეს საქმე.“

“ამ მიზეზისაგამო, მოგანდობთ თქვენ, რომ ქანდიის მცხოვრებლებმა ამოირჩიონ ყოველს მაზრაში ერთი ან ორი წარმომადგენელი,—მაჰმადიანი იქნება თუ არა, ეს სულ ერთია. ამორჩეული წარმომადგენელები უნდა აქ გამოჰგზავნონ, რასწამ ამორჩევა ყველგან გათავდება.

„ბამოაცხადეთ ეს იმპერატორის ფირმანი და დაარწმუნეთ ქანდიის მცხოვრებნი იმაში, რომ ჩვენ ყოვლის გულითა გეწადს იმისთვის ყოველი სიკეთე და ბედნიერება.“

— **ქანდიელების წიგნი ჟულ-ფავრთან.** ჟ. ჟულ-ფავრმა მიიღო შემდეგი წერილი ქანდიის კუნძულიდამ: “ქრიტი, სიდონის მაზრა, 8 იანვარს 1867 წ. ქანდიის ხალხი ჟ. ჟულ-ფავრს, ფრანციის სჯულის-დამდების კორპუსის დეპუტატს. ძველს დროში, დაჩაგრული ხალხები მიჰმართდნენ ხოლმე დემოსთენს და ციცერონს, რომ იმათ შეემსუბუქებინათ იმათი ტანჯვა; ისინი მტკიცედ იყვნენ დაჯერებულნი, რომ იმათი საქმე გაიმარჯვებს, რადგანაც კარგათ იცოდნენ, რომ მჭევრ-მეტყველობას დიდი ძლიერება აქვს. იმ დროს ორატორი თავის მაღალის ნიჭისთვის ჰპოვებდა უდიდეს ჯილდოს; იმისი სამართლიანი ხმა დასთრგუნავდა საომარ იარაღის ძალას, იმისივე ხმა გაჰმეხავდა უსამართლოებას, ბიწიერებას, ძლევა-შემოსილ ჰყოფდა სიმართლეს და ჭეშმარიტებას. არც ერთხელ არ დაკარგულა ტყუილად და უნაყოფოდ დიდ-სულოვანი სიტყვა, მთელმა ქვეყანამ, რომელიც აქამომდე გარემოცულია გაუნათლებელობით და განუცადის წყვდიადით, მოელმა ქვეყანამ არ იცოდა, რომ სამართლიანი ხმა ტყუილად არ განისმოდა დაჩაგრულების მისაშველებლად და იმის ტანჯვის შესამსუბუქებლად. და როდესაც შენ გამოხვიდოდი რომლისამე დაჩაგრულის ხალხის ქომაგად და მშველელად, ჩვენ მუდამ ისე გვეგონა, რომ შენ ჩვენ გვესარჩლები და ჩვენს საკუთარს საქმეზედ იბრძვი; რადგანაც თუ ფართო შეხედულობა ვიქონიეთ, ერთი ხალხის სარგებლობა მეორე ხალხის სარგებლობასაც შეადგენს. ჩვენ ფიქრათაც არა გვაქს, რომ შენის მჭევრ-მეტყვის სიტყვით დაგვეხმარო. არ მოგიწადებთ, რომ ჩვენის გულისთვის იბძოლოთ,—ეს უსარგებლო საქმე იქნებოდა. აგრეთვე შენც არ დაიწყებ ლოდინს, რომ საწყალი მოვიდეს და დაგირახუნოს კარი და მით გაცნობოს, რომ იმას დაეხმარო უბედურებაში. მაგრამ ჩვენ ვვინდა, რომ წრფელის გულით აღვიაროთ ყველა, რაც ჩვენ გვტანჯავს და მით იგრძნოთ თქვენ, თუ რა მიუწდომელს უბედურების უბსკრულში ვართ შთავარდნილნი. ამ წელიწადს, მთელმა ქანდიის კუნძულზედ, ომიანობის გამო, არც მოუმკიათ და არც დაუთესიათ და ჩვენ ყველანი თითქმის შიმშილით ვიხოცებით. ჩვენის მოძმების—ბერძნების შემწეობასაც ჩვენთვის სარგებლობა არ მოაქვს. ჩვენ არა გვაქს კარგი გზები, და ამის გამო ვერ შემოგვიტანია კუნძულში ის, რაც ჩვენთვის საჭირო მოაქვთ. ამასთან ჩვენ შიმშილით დაგვეხოცნენ თითქმის სულყველა ჯორები. თუ ზოგიერთი გადაურჩა სიკვდილს, ისიც ვერ მოგვიხმარებია, რადგანაც შეძლება არა გვაქვს, რომ ისინი დავაჭედინოთ. ჩვენ ფეხთ-საცმელის შოვნაც არ შეგვიძლიან, რადგანაც ჩვენს კუნძულს ჯარი გარეშემო არტყია და ჩვენი სამი მოვაჭრე ქალაქი დაიხურა. შუა ზამთარში, საშინელს სიცივეში, ჩვენ ფეხ-შიშველანი დავდივართ, რადგინაც არაფერი არა გვაქვს, რომ ფეხთ ჩავიცვათ. ჩვენი საცხოვრებლები მტერმა გადაგწვა; აგრეთვე არ დაიზოგეს ჩვენი ბელელები, სადაც შენახული გვქონდა შარშანდელი მოსავალი. მაგრამ ჩვენი უბედურება ამითი არ თავდება; კუნძულის უკანასკნელ ასაოხრებლად მტერი ცდილობს, რომ გადაწვას ზეთის-ხილის, წაბლის ხეები და სხვა ყოველ-გვარი ხეხილები. ჩვენმა ოჯახებმა არიციან, რა შეემთხვევათ იმათ მეორე დღეს. იმათი მდგომარეობა ჩვენ დიდათ გვაწუხებს, მხოლოდ ორი ხომალდი, რუსეთისა და ანგლიისა, მოადგნენ ჩვენს კუნძულის კიდეებს, რომ უბედურები საბერძნეთში გადაიყვანონ, მაგრამ მრავალნი მოხუცნი, დედაკაცები და ყმაწვილები, შიმშილით დაოსებულნი, თოვლში იხოცებიან, ისინი თუმცა ელიან შველას, მაგრამ შველა არ საით არის. ამასთან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმათ არ შეუძლიანთ სოფლებში ყოფნა, რადგანაც იმათ ოსმალები მიესევიან და შეუბრალებლივ ჰხოცავენ. ჩვენ უკანასკნელს განწირულებაში ვართ.

თქვენ, ვისაც ჩვენის ტანჯვის შემსუბუქება შეგიძლიანთ, შეგვიბრალეთ, და თუ არ მოგვაწვდიან გამომხსნელს ხელს, ჩვენ უკანასკნელს კაცამდის დავიხოცებით, დავტოვებთ ჩვენს სამშობლოს, მაგრამ არასდროს არ შეევედრებით ჩვენს უწინდელს მტრებს. ისინი მკაცრად და მტარვალად გვეპყრობოდენ. ერთის მხრით ისინი აძლევდნენ ევროპის სახელმწიფოებს სხვა და სხვა ცრუ პირობაებს და მეორეს მხრით სტანჯამდნენ და მტვერს ადენდნენ თავის ქვეშევრდომ ხალხებს, შემთხვევაში იმათი ყოფა-ქცევა სულის აღმაშფოთებელი და შესაძრუწუნებელი არის. იმათ ისეთი მძიმე ხარჯი დაგვადვეს, რომლის გადახდაც ჩვენ არ შეგვეძლო. მაგრამ ეს სამძიმო ხარჯი მათნიც გამოგვართვეს, მაგრამ არც ერთი გზა კი არ გააკეთეს კუნძულზედ. აქ ნახავთ მარტო ვიწრო და გაუვალს ბილიკებს. თუ კაცს და პირუტყვს ამ ბილიკზედ როგორმე ფეხი დაუცდათ, მაშინ ისინი კლდეში გიდაიჩეხებიან; ამ კუნძულზედ არც ერთი ხიდი არ არის გაკეთებული და წყალში გასვლა მარტო შეიძლება, ისიც მაშინ, როდესაც წყალი დაპატარავდება. იმათ დახურეს ჩვენი სავაჭრო პორტები, რომლებიც ჩქარა აყვავდებოდნენ, თუ თავისუფალი მისვლა—მოსვლის ნება ჰქონდათ. თავის უსამართლო მოთხოვნილებაებით, ისინი აშორებენ ჩვენს კიდეებს უცხო ქვეყნელების სავაჭრო ხომალდებს. ამ სახით ყველასაგან დავიწყებული ჩვენი მშვენიერი კუნძული წარმოგვიდგენს უბედურების და სიღარიბის სურათს. ჩვენ ვცხოვრობთ მშვენივრათ შემკობილს და დიდათ ნაყოფიერს ქვეყანაში, რომლის ბადალიც ქვეყანაზედ ძვრად მოიპოვება. მაგრამ ამასთან ჩვენ ვიკვებებით შავი პურით და პირუტყვებსავით შემწყვდეულნი ვართ მღვიმეებში, სადაც ჩვენ პურსა და ნათელს მოკლებულნი ვართ. ჩვენ რომ შკოლები გვქონდეს, მაშინ კიდევ ვისწავლიდით რასმე და ამით

(*) ესე იგი ნაპოლეონი I.

ცოტათ მაინც შეეამსუბუქებდით ჩვენს ფიზიკურს ტანჯვას. მაგრამ ბარბაროსებმა სრულს გაუნათლებლობაზედ გაგვწირეს და მთელს კუნძულზე თქვენ ძვირათ იპოვნით იმისთანა კაცსა, რომელსაც წერა შეეძლოს. ისლამის ამღიარებლებს შეუძლიანთ დაუსჯელად ყოველი უსჯულოება მოიქმედონ, რადგანაც ქრისტიანის მოწმობას სამართალი არ შეიწყნარებს. აი რისთვისაც ავდექით ჩვენს შემავიწროებლებზედ. ჯერ პირველად მშვიდობიანათ გამოვაცხადეთ ჩვენი ჩივილი. მაგრამ პასუხის მაგივრად სულთანმა უბრძანა თავის ჯარებს, რომ აიკლონ და დაარბევონ ჩვენი ქვეყანა. აბა თქვენ სთქვით, როგორ უნდა მოგვედრიკა კისერი, როგორ უნდა მოგვეთმინა, რომ ხმა არ ამოგვეღო? ჩვენ ყველანი ავდექით და მარჯვეთ ვიბრძოდით ორს უდიდესს სახელმწიფოს წინააღმდეგ-ოსმალეთის და ეგვიპტისა. ჩვენ არა გვქონდა იარაღი, ფლოტი და არა გვყვანდა ჯარი,-ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ყველასა. მარტო ძლიერნი ვიყავით ჩვენი სიმართლით. ეს სიმართლე ჩვენ გვამხნევებდა და განგვამტკიცებდა იმ ბრძოლაში, რომელიც ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი იყო. ჩვენ სრულიად არ ეიჭვნეულობთ, რომ გავიმარჯვებთ. აქამდის ჩვენა გვშველოდნენ ჩვენი მოძმენი-თავისუფალი ბერძნები; სამწუხაროთ საბერძნეთის მმართებლობა იძულებულია, რომ ჩვენს საქმეებში არ შეერიოს, მაგრამ ჰელლინის ხალხი კი დაგვეხმარა, რითაც შეეძლო. ახლა ჩვენ შემოგვესმა, რომ მფარველი სახელმწიფოები ყოელის ღონისძიებით ეცდებიან, რომ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოუღოს, როდესაც ისინი გაიგებენ იმ სიმართლეს, რომელსაც ჰფარვენ იმათგან ჩვენი მტრები. იმ ფულებით, რომელიც ჩვენ წაგვართვეს, ისინი აჯილდოვებენ ზოგიერთს უსვინიდისო მწერლებს, რომლებიც ცდილობენ საზოგადო აზრი მოატყუონ, ჭეშმარიტება ყველასაგან დაფარონ და ევროპის სახელმწიფოებს თვალები აუბან. გაფიცებთ, რომ აცნობო ქვეყანას სამართლიანი აზრი ჩვენს ბრძოლაზედ და ისე დაგმადლებთ, როგორათაც ჩვენს გამომხსნელსა. დარწმუნებულნი ვართ რომ მიუცილებლად გავიმარჯვებთ მაშინ, როდესაც ჩვენს საქმეს ნათლად და სწორეთ დაინახვენ მფარველი სახელმწიფოები. უთხარი იმათ, დაარწმუნე, რომ ჩვენი ადგომა სრულიად სახალხოა. ის არ მომხდარა სხვისა ვისიმე შეგულიანებით. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მტრები, რომელსაც ჩვენი დაღუპვა უნდათ, წინააღმდეგს ამტკიცებენ, მაგრამ ეს ტყუილია! ვინ ჰკვენესის, ვინ იტანჯება, ვის უნდა ტანჯვიდგან თავის დახსნა, ვის? თუ არა ჩვენა? ძმურად გვიყვარს ჩვენი თავისუფალი საბერძნეთის მემამულენი, მაგრამ იმათთვის არ მიგვიცია უფლება, რომ ჩვენ საქმეში გაერიენენ. სად არის ის უცხო-ქვეყნელი, როდესაც ჰსურს, რომ ხალხმა თავისი თავი სასიკვდილოთ გასწიროს, მაგრამ შეხედეთ, სასიკვდილოთ თავი გაგვიწირავს. ვინ გარეშემოგვზღუდავს სხვა და სხვა ცილის-წამებისაგან, რომლებიც შეუშფოთვენ კაცს გულსა და რომლების გამტყუვნებაც ძალიან ადვილია. ათინის ხმა არ მიაწვევს ევროპამდის, ბერძნული გაზეთები იქ იშვიათად იგზავნებიან. ჩვენ არა გვყავს ევროპაში წარმომადგენელები და ჩვენს მტრებს კი ჰყავთ. მაგრამ თუ შენ წარმოსთქვამ მჭევრმეტყველს სიტყვას სჯულის-დამდებს კორპუსში, ჩვენ შევიქმნებით მტრებზედ ძლევა-მოსილნი. იმ ტრიბუნზედ, რომლიდგანაც შენ ლაპარაკობ ხოლმე, გადასწყდება ბევრი უდიდესი საქმე. ჩვენ ჯერ ფრანციაზედ იმედი არ დაგვიკარგავს. ჩვენ ვიცით, რომ ბევრჯელ ამ სულ-გრძელს ხალხს დაუღვრია წმინდა სისხლი შეწუხებულის ხალხებისთვისა. მაგრამ ჩვენ იმას არა ვთხოვთ არც ოქროს და არც სისხლსა; ჩვენ ვთხოვთ მხოლოდ, რომ ჩვენთვის სასარგებლო და მფარველი სიტყვა არ დაიშუროს. ჩვენ მეტი არა გვინდა რა. ამასთან ფრანციის სარგებლობაც ითხოვს ჩვენს განთავისუფლებასა. ხალხები ყველგან მღელვარებენ, როდესაც ჩვენს ტანჯვის ამბავს მოისმენენ. ყველგან არსდება „ქანდიის კამიტეტები“, რომლებშიაც მონაწილეთ არიან პატიოსანნი და განათლებულნი პირნი. მაგრამ ამ საზოგადო მღელვარების დასაგვირგვინებლად ერთი ხმაღაა საჭირო, ძლევა-მოსილი ხმა. მაშ აღამაღლე შენი ხმა. ჩვენი თხოვნა ამაში მდგომარეობს. ქანდიის ხალხის სახელით, კაპიტნების მინდობილებით, ოთხის ქანეის მაზრის უფროსი ზიმვრაკაკი.

ამერიკა. ანგლიის გაზეთებში დაბეჭდილია კორრესპონდენცია პრეზიდენტის ჯონსონის სამართალში მიცემაზედ; ეს კორრესპონდენცია გამოგზავნა რეიტერის საგენტომ. „ნუ-იორკი, 20 იანვარს. ოფიციალურს ვაშინგტონის გაზეთში Constitutionel—Union დაბეჭდილია შემდეგი სტატია, რომელშიაც სწერენ პრეზიდენტის ჯონსონის სამართალში მიცემაზედ.

„თუ საჭიროებამ მოითხოვა, სამინისტრო მოიხმარს ყოველ გვარს ღონის-ძიებას და სამხედრო ძალას, რომ რადიკალები არავითარს ღალატობას არ მიეცნენ, ფიცი, რომელიც პრეზიდენტმა მისცა, რომ ის კონსტიტუციას დაიცავს, არავის დაავიწყდება. ხალხი, რომელმაც 500 ათასი ხმით გამოუცხადა პრეზიდენტს თავისი შველა და შეწევნა, არ დასტოვებს იმას. საქმეების მომდინარეობა ისეთი იყო, რომ რევოლუცია მიუცილებელია. თუ რადიკალები, რომელიც კონგრესის მონაწილენი არიან, დაიწყებენ უხიაკობას თავის მოღალატე განზრახვაში, მაშინ მმართებლობა იძულებული იქნება თავისი მოსმრეები შეიარაღოს. პრეზიდენტის პირველსავე მოწოდებაზედ, არმია, ფლოტი და ყველა იმისი მეგობრები როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის შტატებში, ერთად აღსდგებიან. ბრძოლის შედეგიც ეჭვს ქვეშ არ არის. კონგრესის წევრნი მაშინ ძალიან გულოვნობენ, როდესაც ისინი შეყრილობაში არიან. მაგრამ როდესაც საქმე ბრძოლამდის მიახწევს, მაშინ ისინი შიშით დაიხოცებიან. მხოლოდ ჭეშმარიტნი მეომარნი იბრძოლებენ რესპუბლიკისთვის მხნედ და უშიშრად.“

გაზეთი Constitutionel—Union აცხადებს, რომ ჯონსონი პრეზიდენტათ დარჩება, მანამ კანონით დადგინებული ვადა არ გათავდება. ამავე აზრისანი არიან ყველა კონსერვატორები. ძალიან შესაძლებელია, რომ რადიკალები მოინდომებენ პრეზიდენტის ჯონსონის სამართალში მიცემას, მაგრამ ხალხს კი არა ჰსურს, რომ ჯონსონი სამართალში მიიცეს იმ შემთხვევეების გარდა, როდესაც ხალხზედ ჰქონდათ მოქმედება რადიკალებს. არც ერთი მიტინგი არ გამართულა. სხვა და სხვა პარტიების წარმომადგინელებს არა ჰსურთ, რომ პრეზიდენტი ჯონსონი სამართალში მიიცეს. რაც შეეხება მეფინანსეებს, იმათ აზრათაც არა აქვთ, რომ ამ საქმის აღსრულება შეიძლებოდეს. ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოება უზრუნველობს; ეს იმითი მტკიცდება, რომ საზოგადოება ყურს არ ათხოვებს, როდესაც კონგრესის ორივე პალატაში პრეზიდენტს დიდათ ჰკიცხვენ და რადიკალები მოწადინებულნი არიან, რომ ჯონსონი სამართალში მისცენ. კონგრესის უძლიერესი პარტია დიდათ განრისხებული იყო იმით, რომ უზენაესმა სამჯაროომ გაამართლა პრეზიდენტის პოლიტიკა; უეჭველია, რადიკალები უთუოთ მოითხოვენ, რომ სამხრეთის შტატების მცხოვრებლებს არ მიენიჭოთ აღმორჩევითი უფლება, მანამდის ახალს პრეზიდენტს არ ამოირჩევენ. თუ რადიკილებმა ეს ააღსრულეს, მაშინ პრეზიდენტი ჯონსონი სამართალში მიიცემა. მაგრამ კეთილგონიერს რადიკალებს კი სურთ, აღმასრულებელის უფლების და უზენაესის სასჯელის სიმართლენი შეასუსტონ და არ უნდათ, რომ პრეზიდენტი სამართალში მიიცეს, რადგანაც ამ გვარი საქმე დიდათ სასაშიროა. ვნახოთ ზემოხსენებული რადიკალები შეიძლებენ თუ არა, რომ ჯონსონი სამართალში არ მიიცეს?

—ქანზასის შტატის სენატმა ჩრდილოეთის ამერიკაში მიანიჭა ქალებსაც აღმორჩევითი უფლება; იმან გააუქმა სიტყვა „მამრობითი“ ბილში, რომელიც გასაზღვრავდა ამ შტატში აღმორჩევითს უფლებას.

ტელეგრამმები,

პეტერბურგში მიღებული.

კონსტანტინოპოლი, 4 (16) თებერვალს. აქ მოელიან ლორდს სტატ-ფორდს, რომელიც დიდ ხანს იყო ანგლიის ელჩად პორტაში და რომელსაც დიდი მინდობილობაები აქვს ანგლიის მმართებლობისაგან.

ათინა, 5 (17) თებერვალს. საბერძნეთის ცეცხლის-გემი „პანჰელლენიონი,“ სახელგანთქმული თავის მარჯვე მოქმედებითა, ხერხიანად გამოუსხლტა ოსმალებს ჩერიგოდამ, სადაც ის შემწყვდეული იყო და| გაეშურა კანდიას.

პარიჟი, 9 (21) თებერვალს. დღეს პარიჟის ბირჟაში გამოკიდებული იყო 2 (14) თებერვლის ტელეგრამმა ღენერალი კასტელნოსი, ვერა-ქრუციდამ. ღენერალი მოახსენებს, რომ ფრანციის ჯარები მეხიკოდამ გამოვიდაო 24 იანვარს (5 თებერვალს); ჯარის გამოსვლის დროს სრული წესი იყო დაცული, ერთი თოფიც არ გავარდნილაო, ხალხმა დიდი თანაგრძნობა ამოაჩინაო. იმპერატორი მაქსიმილიანი სატახტო ქალაქში დარჩა, სადაც მშვიდობიანობაა. ბელგიელი ლეგიონი და 81 ფრანციის პოლკი პირველათ დასხდნენ გემებზედ და ჯარების გემებზედ დაჯდომა შეუწყვეტლათ გაგრძელდება.

ნუ-იორკი, 9 (21) თებერვალს. ვაშინგტიონის კონგრესმა დაბოლოვებით მიიღო კანონი, რომლითაც სამხრეთ შტატებში დაწესდება სამხედრო მმართველობა, ვიდრე მთელი ჩრდიოლეთ ამერიკის—შტატები ახლათ შეკავშირდებიან.

მინამ სამხრეთ-შტატებში სამხედრო მმართველობა იქნება, არ მიეცემათ ხმის უფლება ყოველს პირს, რომელსაც კი ახლა აქვს რაიმე თანამდებობა, და ადრე განდგომილებაში მონაწილეობა მიუღია.

ბუხარესტი, 9 (21) თებერვალს. მმართებლობამ შეიპყრო მრავალი აფიცრები, ჩინოვნიკები და კერძო პირები, რომლებზედაც იჭვნეულობდა, რომ ისინი შეთქმულობაში ერიენენ. ბუხარესტში დააგდეს ხმა, ვითომც იქ, 11 (23) თებერვალს, უნდა აღდგომა მომხდარიყო.

კონსტანტინოპოლი, 8 (20) თებერვალს. ქანდიის მდგმოიარობა არ გამოცვლილა.

სულთანმა, მინისტრების ერთობ თხოვნის შემდეგ, სერბიელებს დაუთმო ბელგრადი და სხვა ციხეები. ახლა პორტას და სერბიის მმართებლობას აქვთ ლაპარაკი, თუ რა პირობაებით დაუთმოს პორტამ ეს ციხეები.

ბათუმში გუბერნატორის და რუსეთის კონსულის შორის მოხდა უთანხმოება; მაგრამ ელჩმა, რომელიც კონსტანტინეპოლში იმყოფება, მიიღო სრული დაკმაყოფილება.

პეშტი, 11 (23) თებერვალს. დღეანდელს ვენგრიის სეიმის დეპუტატ-პალატის შეყრილობაში გრაფმა ანდრასმა გამოაცხადა, რომ ის ვენგრიის სამინისტრო მინისტრად—პრეზიდენტათ დაინიშნა, და ამასთანვე წარადგინა მინისტრების სია. ამ სიტყვაზედ დეპუტატებმა შესძახეს „ელიენ!“ („ელიენ—ცოცხალი ნიშნავს ,ურა!)

13 (25) თებერვალს. დღეს მოხდა პირველი სრული შეყრილობა ჩრდილოეთ-ბერმანიის რეიხსტაგისა (პარლამენტის), რომელშიაც დაესწრნენ 220 დეპუტატი. დღეს დეპუტატები, საკარიოლო სადილს შემდეგ, წარუდგებიან კაროლს ვილელმს.

ნუ-იორკი, 11 (23) თებერვალს. ვაშინგტონის კონგრესის სამსჯავრო კამისიამ გამოსთქვა აზრი, რომ პრეზიდენტი ჯონსონი სამართალში არ უნდა მიიცეს.

ბერლინი, 15 (27) თებერვალს. ამტკიცებენ, რომ ერთს დროს ფრანციის ცირკულიართან ანგლიის მმართებლობამაც საცირკულიარო ნოტა გაგზავნა. ანგლია თითქმის ისე უყურებს აღმოსავლეთის საქმეს, როგორათაც ფრანცია. ეს ნოტა ყველაზედ მეტს ყურადღებას მიაქცევს ქანდიის და სერბიის საქმეს. ამასთანავე ის ამბობს, რომ თავის ნებით უნდა დაუთმოს სერბიას, ხოლო ქანდია ოსმალეთს არ უნდა მოშორდეს.

1-ს მარტს ამ 1867 წლისა პეტერბურგში მოხდა მეორე შინაგანი სესხის ტირაჟი. უმთავრესნი მოგებანი შეხვდათ შემდეგს ბილეთებს.

მოგება მანეთი	ბილეთის სერია.	ბილეთის ნუმერი
200,000	17,215	5
75,000	7,059	17
40,000	13,605	15
25,000	9,226	3
10,000	9,630	30
10,000	6,524	38
10,000	5,729	24
8,000	3,694	28
8,000	10,019	9
8,000	177	29
8,000	14,357	40(*)
8,000	11,541	33.

პეტერბურგის ბირჟის ამბავი, 4 თებერვალს.

— წასულ კვირას დიდი უძრაობა იყო პეტერბურგის ბირჟაზედ.

— 1 მოგებით ბილეთები ძალიან იშვიათად იშოვებოდა გასასყიდათ, და ამისთვისაც ფასმა აიწია. ითხოვდნენ $107\frac{1}{2}$ და 108 მან.

— 2 მოგებით ბილეთებს, თუმცა პუბლიკაში ძალიან მოთხოვნილებაა, მაგრამ 105 მანეთზე ზევით არ აუწევიათ.

— 5% ბილეთები თან და თან იწევენ. უკანასკნელი ფასი იყო 77 მან. და 25 კაპ. იმედია, რომ უფრო აიწევენ.

— სერიებს მაგდენათ არა აქვს გასავალი, ერთ თვეს და თვე ნახევარს უ.ლებენ.

— ამ ჟამად ოქრო ბევრია ბირჟაზედ; თითქმის ყველა ზარაფის დუქანში იპოვება. უკანასკნელი ფასი პოლუიმპერიალისა არის 6 მან. და 7 კაპ. თეთრი ფული უფრო ფასობს.

პეტერბურგი, 11 თებერვალს.

— წასულ კვირას ბირჟაზედ უმეტესი მოძრაობა იყო. უმეტესი მოთხოვნილება იყო 5% ბილეთისა, რომლის ფასმაც აიწია 79 მან. 75 კაპეიკიდამ 80 მანეთამდინ.

სხვა ბილეთების ფასის ცვლილება არა მოხდარარა.

— პოლუიმპერიალის ფასი იყო 6 მან. და 18 კაპ; მაგრამ ბევრნი ამაზედ ნაკლებ ფასათაც ჰყიდდნენ.

მოსკოვის ბირჟის ამბავი, 4 თებერვალს.

მატყლის ფასი არის, 1 სორტისა 13 მან. ფუთი და 33 კაპეიკათ გირვანქა; 2 სორტისა 10 მან. ფუთი, გირვანქა 28 კაპ; 3 სორტისა 8 მან. 50 კაპ. ფუთი, გირვანქა 23 კაპ.

ოქროს ფასი 6 თებერვლამდინ იყო: 85 პრობისა 4 მან. 50 კაპეიკამდე მისხალში.

— ვერცხლი ფასობს: 84 პრობისა $26\frac{1}{2}$ კაპეიკამ მისხალი; 94 პრობისა $30\frac{1}{2}$ კაპ.

— პოლუიმპერიალი ფასობს 6 მან. 20 კაპ.

(*) როგორც ისმის, ეს მოგება ერთს არტილლერიის აფიცერს რგებია, რომელიც ტფილისში ცხოვრებს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го марта 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 18).

1) სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში ამა წლის 11 მარტისათვის დანიშნულია ტორგი და 3 დღის შემდეგ პერეტორჟკა იჯარით გასაცემით 1 ივნისიდამ ამა 1867 წლისა საკირე ქვის მოტეხის ნება საეკკლესიო მიწაზედ ძეგვის სოფელთან, ბორის უეზდში.

2) სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში 11 მარტისათვის ამა წლისა დანიშნულია ტორგი და 3 დღის შემდეგ პერეტორჟკა იჯარით გასაცემათ 1 მაისიდამ 1867 წლისა სასმელების და სამიკიტნო საქონლის გაყიდვის ნება საეკკლესიო მიწაზედ ვაზიანში, სართაჭალის უჩასტკაში, პოჩტის სტანციის მახლბლად.

3) რადგან ტფილისის გუბერნიაში ფოჩტის სტანციებისა და საეტაპო ეზოებისა შენახვის იჯარას ვადა უთავდება ამის გამო დაინიშნება ტორგები, ხელახლათ იჯარით გაიცემა ფოჩტის სტანციებისა და საეტაპო ეზოების შენახვა 1868 წლიდამ დაწყებული სამის წლის განმავლობაში. ტორგები მოხდება: ფოჩტის სტანციებისათვის 22 ივნისს 1867 წ. და საეტაპო ეზოებისათვის 30 ივნ. პერეტორჟკა სამის დღის შემდეგ იქნება.

5) ოკრუგის საინტენდატო სამმართველო გამოაცხადებს, რომ ამ 1867 წელს სოხუმის პრავიანტის მაგაზინიდამ უნდა გადიტანოს: 1) წებელდის მაგაზინში 730 ჩეთვერი ფქვილი და 70 ჩეთვერი კრუპა, 2) ოქუმის მაგაზინში—1340 ჩეთ. ფქვილი და 120 ჩეთ. კრუპა, 3) ზუგდიდის მაგაზინში—1700 ჩეთ. ფქვილი და 120 ჩეთ. კრუპა. ამ იჯარის გასაცემათ ტორგი მოხდება ქუთაისის გუბერნიის მმართველობაში 20-ს და პერეტორჟკა 24-ს მარტს 1867 წ.

6) ოკრუგის საინტენდატო სამმართველო გამოაცხადებს, რომ ბორის უეზდის სამართველოში ამ მარტს თვეში მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა, სამის წლით, პურის დაფქვა სურამის პრავინტის მაგაზინისათვის.

7) კავკასიის ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში მოხდება ტორგი 17 და პერეტორჟკა 30 მარტს, რომელზედაც იჯარით გაიცემა სხვა და სხვა სამუშაო ტფილისის საინჟინერო დისტანციაში.

8) კავკასიის ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში მოხდება ტორგი 20-ს და პერეტორჟკა 23-ს მარტს, რომელზედაც იჯარით გაიცემა სხვა და სხვა სამუშაო ზაქათალის ციხეში.

10) სამხედრო სამედიცინო სამმართველომ დანიშნა ტორგი 16 და პერეტორჟკა 20 მარტს ამ წლისას იმაზედ, რომ ტფილისის დასამზადებელ აფთეკას უნდა ეძლიოს ამ წლის განმავლობაში საფთეკო მასალები თიხის ჭურჭლები, საოჯახო და ჩასაწყობი ნივთები.

18) თელავის უეზდის სამჯავროში მოხდება ტორგი 24 და პერეტორჟკა 3 დღის შემდეგ გასასყიდათ ცარიელის სახლის ადგილისა, რომელიც თელავში იმყოფება და ეკუთვნის თელავის მოქალაქეს ბიგოლა სარქისის ძეს ტერ-სარქისოვს. ეს მამული დაფასებულია 50 მან. და ისყიდება ვალში.

23) რაჭის უეზდის სამმართველოში 30-ს მარტს მოხდება ტორგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც იმყოფება რაჭაში, იცის და აგარას სოფლებში და ეკუთვნის აზნაურს დავით პაატას ძეს მომცემლიძეს და მის ძმისწულებს. ეს მამული დაფასებუია 300 მან. და ისყიდება თავადის ბიგო წულუკიძის ვალში.

(Закавказскій Вѣстникъ № 19).

20) ფოთის საქალაქო რატუში 11 მარტიდამ დაწყებული ორის კვირის განმავალობაში, უქ ის დღეების გარდა, ყოველ დღე იქნება ტორგი გასასყიდათ დარჩენილის მიწის ნაჭრებისა დიდს ბულვარზედ, ფოთში.

კერძო ოგითი განცხადება.

სულიეს ცირკში

დირეკტორს ლ. სულიეს აქვს პატივი გამოუცხადოს უპატივცემულეს პუბლიკას, რომ მისს ცირკში ყოველკვირა ორი დიდი ცხენოსნური წარმოდგენა მოხდება.

პირველი წარმოდგენა იქნება დღისით, საკუთრათ ყმაწვილებისთვის; ის დაიწყება 2 საათზედ ნაშუადღევს. ყოველს ამ გვარს სპეკტაკლში წარმოადგენენ კომიკურს პანტომიმას: ჭაკოს, ან ბრაზილიის მაიმუნს. ყველას რომ შეეძლოს ამ წარმოდგენაში დაესწროს, იმისთვის ალაგებს შემდგომი დამცირებული ფასი დაედება:

ლოჟა — — — — —	4 მან. —	„
ტუპონი ლოჟაში — —	1 — —	„
პირველი სამი რიგი სკამებისა	1 —	„
ამფითეატრი — — —	„ — 40	კაპ.
ბალერეია — — — —	„ — 20	—

მეორე წარმოდგენა მოხდება საღამოს. ის დაიწყება ნაშუადღევს, $7\frac{1}{2}$ საათზედ. ყოველს სპეკტაკლში წარმოადგენენ: დიდს-ანგლიურს ნადირობას ცოცხალს ირემზედ. ალაგებს ჩვეულებრივი ფასი ექნება.

დირეკტორი ლ. სულიე.

ჟურნალის „სომხის ქვეყანის“ რედაქციამ გაამზადა ფოტოგრაფიულა პარტრეთები ახალ-ამორჩეულის უზენაესის პატრიარქის და სომხის კათოლიკოსის, ბევორქისა. თითო პარტრეთი ათათ შაურათ იყიდება უ. ალადათოვის მუზიკის მაგაზინში და ენფიანჯიანცის საწიგნო მაგაზინში.

„სომხის ქვეყნის“ ხელისმომწერნი თებერვლის წიგნთან ერთად მიიღებენ ამავე პარტრეთებს უფასოთ.

ისყიდება 6 ნაჭერი მიწა და ერთი საზაფხულო სადგომი-დაჩა.

პირველი ნაჭერი მიწისა შეიცავს 10 დესეტინას და 760 კვადრ. საჟენს და მდებარეობს საბურთალოზედ, ლაბორატორიის კაზარმების იქით, ვერის წყლის გალმა.

მეორე ნაჭერი შეიცავს 1986 კვ. საჟ. მიწას, რომელიც მდებარეობს ვერაზედ, აგურის ქუჩაზედ, საჭურჭლესთან.

მესამე ნაჭერი მდებარეობს მოსკოვის ბალკაში, სადაც მოსკოვის ზასტავა იყო და შეიცავს 2000 კვ. საჟენამდე მიწას, რომელიც არის იჯარით მიცემული კვ. საჟ. 40 კაპეიკათ წელიწადში.

მეოთხე ნაჭერი არის საძოვარი მთა ზემო ხსენებული ბალკის ზემოთ და შეიცავს 5 დესეტინას და 352 კვ. საჟ. მიწას.

მეხუთე ნაჭერი, სახელათ ნაურდოვალი, არის საბაღე ადგილი თავისის წყლით; ის მდებარეობს ვოენნო გრუზინსკის გზის აღმართთან, მტკვრის პირას, $1^1/^2$ ვერსტზედ ტფილისზედ და შეიცავს 1-ს დესეტინაზედ მეტს მიწას.

დაჩა, რომელიც მდებარეობს სოფელს ოქროყანას, ყოჯრის გზის მარჯვნივ, ტფილისზედ არის 2 ვერსზედ და შეიცავს 183 დესეტ. და $1041^1/_2$ კვ. საჟ., სახნავს, სათიბს და საძოვარს მიწას, ორ ეტაჟიან სახლს თავისის თავლით და სამზარეულოთი, ბაღს, წყალს და ორს აუზს.

ფასზედ მოლაპარაკება შეიძლება ამ მამულის პატრონთან, რომელიც ზდგას მოსკოვის ბალკაში, ჩინოვნიკის სუსლოვის სახლისა ზემო ეტაჟაში.

მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერა მიიღება:

რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის პროსპექტზედ, რეიტერის

ათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ кой газеты „ВРЕМЯ“.

ება ყოველ-გვარი განცხადება ცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივ 8 კაპ.

ირეგულიარის პოლკის კაპიტანი, როტმისტრის სახელით, შტაბს-კაპიტნები: პეტრე ქონისშკილი და დიმიტრი ასლანის ძე ფერეთელი, ორნივე შტაბ-როტმისტრის სახელით; პარუჩიკი სეფასტიან ჭუთათელაძე და პადპარუჩიკი ბესარიონ მამუჩარის ძე დგებუაძე, პრაპორშჩიკები: რაჟდენ ჯავახიშვილი, სიმონ ქახიანი, ბესარიონ ზაალის ძე ბრიგოლია, აბესალომ დავითის ძე მაჩაბელი, ალმასხან მესხი, ივანე დავითის ძე ბიორგობიანი, ბვათა პაატას ძე მიქელაძე, ივანე აბაშიძე, ასლან წულუკიძე, ქაიხოსრო ერისთავი, ათი უკანასკნელი კაცი კარნეტათ უნდა იწოდებოდნენ და ყველა თუთხმეტივე იმავე პოლკში დარჩებიან.

დამატებითნი კანონნი.

13 ოქტომბრის 1864 წლის წეს-დებათადმი.

(შემდეგი).

3) ვენახთათვის.

22. დაბლარ ვენახად ითქმის ის ნაწილი შემოლობილის საევენახედ ადგილისა, რომელზედაც გაშენებულ არიან ვაზები და ამასთანავე ხილის, ბჟოლის და ნიგოზის ხეები; ხოლო დანაშთენი იმ ადგილისა, ვარგისი საევენახედ, უნდა დაუბრუნდეს მებატონეს საკუთარს განგეობაში, თუ რომ ორის წლის განმავ-

ლ[illegible] ... [illegible] გლეხი ვალდებულია ჩამოსაჭრელის მიწისათვის აძლიოს მესამედი მოსავალი, თუ რომ მოჰსთხოვა ესე მებატონემ; მაგრამ კი თუ გლეხმა დაამტკიცა, რომ ხსენებული მიწა არ შემოვა კაი-ფასიან მიწების რიცხვში, მაშინ მიროვის პოსრედნიკი მოჰსთხოვს ნება დართვას გუბერნსკის პრისუტსტვიის თანა მონაცვლეს სასამართლოს, რათამცა მომატებული გარდასახადი იყოს მხოლოდ მეათედით მეტი დაწესებულს მეოთხედს ნაწილზედ.

32. ჩამოიჭრებიან ჯერ თავდა-პირველ სულის მიწები, რომელნიც აღემატებიან რაოდენობით დაწესებულს 16-ს მუხლში უმაღლესს მისაჩენის ველის მიწის ზომას; მასუკან რაც დააკლდება—ჩამოიჭრება იმ მიწებიდგან, რომელნიც აღემატებიან დაწესებულს 28 მუხლში ძირის მიწას; ამასთანვე მიიქცევიან საკუთარს მებატონის განკარგულებაში ჯერ ის ნაწილები, რომელნიც არ არიან მიკრულნი გლეხების სამოსახლოებზედ.

შენიშვნა 1. როდესაც მებატონეს ექმნება უფლება ჩამოართვას გლეხებს მიწა შესაესებელად კუთვნილისა მისდა ველის მამულების ნახევრისა (მუხლი 15), მაშინ ანგარიშში მიიღებიან ერთიან ის მიწები, რომელნიც

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [